

დამტკიცებულია:
სსიპ პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“
დირექტორის 2014 წლის 20 დეკემბრის
№ 02/57 ბრძანებით

**სსიპ - პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ წესრიგის დაცვის
უზრუნველყოფის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ - პროფესიული კოლეჯის „თეთნულდი“ (შემდგომში - „კოლეჯი“) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულთა მიერ წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს.

მუხლი 2. კოლეჯის წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

2.1 კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ვიდეოსათვალთვალო კამერებით, შენობასა და ეზოში. დამონტაჟებულია 25 ერთეული ვიდეო სათვალთვალო კამერა, (მათ შორის 8 ერთეული - გარე გამოყენების და 17 ერთეული შიდა გამოყენების).

მუხლი 3. დარაჯი

3.1 სამტატო განრიგის შესაბამისად, კოლეჯის სადღეღამისო ცვლაში დასაქმებული დარაჯი უზრუნველყოფს აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით კოლეჯში წესრიგის დაცვას.

3.2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები:

ა) კოლეჯში განთავსებული მატერიალური ფასეულობების (ქონების) დაცვის უზრუნველყოფა, ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომის გამოყენება მათი დაზიანების/განადგურების თავიდან ასაცილებლად;

ბ) პროფესიულ სტუდენტთა და დასაქმებულ პირთა გარდა, სხვა პირთა კოლეჯის ტერიტორიაზე შემოშვება მხოლოდ კოლეჯის ადმინისტრაციის ნებართვით;

გ) კოლეჯის ტერიტორიაზე (შენობა, ეზო) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა;

დ) წესრიგის დარღვევის, ავარიული ან/და სხვა საგანგებო მდგომარეობის შექმნისას დაწესებულების დირექტორისათვის ან/და დირექციის სხვა წარმომადგენლისათვის ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში ამ უკანასკნელთან შეთანხმებით საგანგებო სიტუაციების ან/და პოლიციისა და შესაბამისი სამსახურების გამოძახების უზრუნველყოფა;

ე) კოლეჯის შენობის დაცვის ოთახში განთავსებული, მასზე მინდობილი კანცელარიის, ადმინისტრაციის კაბინეტების, ბიბლიოთეკის, არქივის, საკონფერენციო დარბაზის, სხვადასხვა აუდიტორიებისა და სასწავლო სახელოსნოების გასაღებების უსაფრთხოდ შენახვის უზრუნველყოფა;

მუხლი 4. დასკვნითი დებულებანი

4.1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით (ბრძანებით).

